№ 14 იანვარი 19, შაბათი 1891 იანვარი 19, შაბათი № 14


გაზეთი ღირს

| თთვე | მანა. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვით რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## ა. ი. ფიურერის ცირკი

19 იანვარს დიდი წარმოდგენა იქნება გამართული სამს განყოფილებად. დასასრულ ითამაშებენ ახალს ისტორიულს პანტომიმას პირველად — ტარას ბულბა. ამ პანტომიმაში მონაწილეობას მიიღებს 120-მდე კაცი და 40-ზედ მეტი ცხენი.

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მეტად დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი — 8 საათზედ.

არშაკუნოვის სახლების დიდს დარბაზში
კვირას, 20 იანვარს,
ა. კ. ნებიერიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება:

I

### მაჭანკალი

კომ. 2 მოქმ. თხზ. ილია ჭავჭავაძისა.

II

### საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

გრ. სუნდუკიანცისა.

III

ქართველ მომღერალთა ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ნაციონალურს ხმას ბ-ნ რატილის დირიჟორობით.

IV

პროფესორი მაგიისა — სპირიტი ბ-ნი მაცევი წარმოადგენს „მოჯადოებულს ქვეყანას"

V

დასასრულ იქნება მასკარადი; ლეკური და ჩაჩნური ცეკვა: მოწვეულია სეზანდარი ზურნა და სამხედრო მუსიკა.

არშაკუნოვის სახლების დიდი დარბაზები ამ დანიშნულ საღამოსათვის ნაქირავები აქვს მობენეფისეს და განკარგულების მიმცემიც ის იქნება.

ვინც თეატრში აიღებს მანათიანს და მეტის ფასის ბილეთს ნება აქვს მასკარადში შესვლისა; დანარჩენებმა თეატრის ბილეთში მიცემული ფასი უნდა შეავსონ ერთს მანათამდე.

დაწვრილებით აფიშებში.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.



## ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს,

ბენეფისი ვალ. ლ. გუნიასი.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

I

ახალი პიესა

რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები!

კომედ. 2 მოქმედ.

II

მეხუთე მოქმედება შილერის ტრაგედიიდამ

### ავაზაკები

III

### ბუტიაობა

ვოდევილი 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 18, ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში პირველად უწამლეს პროფესორ კოხის მიერ გამოგონილ ლიმფით ერთს ცხრამეტის წლის ჰლექიანს ქალს ტერეზა ლ—სკაიას, რომელსაც ფილტვები ჰქონდა ამ სენით დაზიანებული. ავადმყოფი 15 წლისა ყოფილა, როდესაც დაუწყებინებია ხველება. ორი წელიწადია, რაც გათხოვილა და ამ დროს განმავლობაში სამჯერ წახდენია მუცელი. უკანასკნელად ქალს ლ—სკაიას ამ ოთხის თთვის წინად დამართვია ეს უბედურება, ამას შემდეგ ხველა უფრო გახშირებია, და დაუწყებინებია ციებ-ცხელება. ათი წლისა ყოფილა, როდესაც ფილტვების ანთება ჰქონია. მამა, ერთი ძმა და ორი და დაჰხოცია სიჰლექით, მხოლოდ დედა, ერთი ძმა და ორი სხვა და ცოცხალი ჰყავს. ექიმებმა, ავადმყოფის გასინჯვას შემდეგ, აღნიშნეს, რომ ტერეზა ლ—სკაიას სუსტის აგებულობისა და სტომაქისაა, სიცხე 37,1 გრადუსი აქვს, მაჯა სუსტად უცემს, სუნთქვა მშვიდი და თავისუფალი, მადა-კი ცუდი ღვიძლი და ელენთა არა აქვს გადიდებული. მიკროსკოპით ნახველის გასინჯვას შემდეგ ექიმები დარწმუნდნენ, რომ ნახველი მუქიყვითელის ფერისაა, ლორწოიანი. ლორწოში ჩირქი ცოტაა და ცოტავეა ჰლექის ბაცილებიცაო. ამ ავადმყოფს გუშინ შუადღისას ექიმმა მაისურიანცმა უწამლა ერთი მილიგრამი პროფესორ კოხის ლიმფა. ამ წამლობის ორის საათის შემდეგ ავადმყოფს ცოტა სიცხემ უმატა — ერთის გრადუსით.

*** ტფილისის საფოსტო დეპეშათა კანტორის უფროსად დანიშნულ იქმნება განჯის კანტორის უფროსი ბ-ნი კოვალსკი, მხოლოდ ბ-ნი კოქინი, ტფილისის კანტორის უფროსი დანიშნული იქნება ტფილისის საფოსტო სატელეგრაფო ოლქის უფროსის თანაშემწედ ბ-ნ ლინდენის ალაგას, რომელიც გადაყვანილ იქმნა ბაქოს ოლქის უფროსად.

*** დიდუბეში გუშინ-წინ საიდგანღაც ცოფიანი ძაღლი გამოჩნდა და რამდენიმე სხვა ძაღლი დაჰკბინა. შემდეგ ერთს გამვლელს რკინის გზის მოსამსახურეს ეძგერა, მაგრამ მან იძრო ხანჯალი და მოჰკლა. დაკბენილი ძაღლები-კი დაიფანტნენ და იმათი შიში უნდა ჰქონდეთ იქ მცხოვრებლებს, რადგანაც საშიშოა ამ ძაღლების გაცოფება.

*** ამას წინად სასახლის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლებში, გამოფენა გაჰმართა თავისის ნახატებისა ახალგაზდა მხატვარმა გ. გაბაშვილმა. გამოფენილს სურათებში განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს 1) „ბოსტანი". საზამთროების მოკრება დახატული, იქავე ჰზის საკვირველის ხელოვნებით დახატული ქართველი, რომელიც ის ის არის სალამურის დაკვრას მორჩენილა. იქავე სდგას რამდენიმე გლეხ-კაცი და გაცხარებულს ბაასში არიან; 2) „დუქანთან", 3) „მოსარეცხე მდინარესთან", 4) „ხატში მიმსვლელნი", 5) „ორთაჭალა" და სხვა მრავალი. ზოგიერთს სურათს ნაკლულევანება აქვს, მაგრამ ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ სულ ორიოდე წელიწადია, რაც ეს ახალგაზდა მხატვარი ჰშრომობს და, ამას გარდა, ზოგიერთ სურათის ხატვას ისე აუჩქარებია საგამოფენოდ მოსასწრებლად, რომ დაუმთავრებელი და შალაშინ-გაუკვრელი გამოუფენია.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნის შიო ქუჩუკაშვილისაგან მის მიერ შეკრებილი დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ რვა მანეთი. აი სიაც შემომწირველთა: ალექსანდრე როინაშვილმა 2 მ., იაკობ ალექსანდრეს ძემ მანსვეტოვმა 1 მ., ლიზა ჩერჩეზიშვილისამ 1 მ., დიომიდე კილაძემ 50 კ., ბარამიშვილმა 40 კ., №№ 50 კ., გიორგი მესხიშვილმა 5 კ., გიგო თამაზიშვილმა 15 კ., ისააკ ბახტაძემ 40 კ., პლატონ თაედკირიძემ 1 მ., შიო ქუჩუკაშვილმა 1 მ., ამ ფონდისა აქამდის იყო 138 მ. 10 კ. ამიანად შესდგა 146 მ. 10 კ.

*** ი. მანსვეტოვის სტამბაში იბეჭდება ცალკე წიგნად რამდენიმე ლექსი ცახელისა და ამ დღეებში გამოვა.

*** 14 იანვარს, ნინოობა დღეს, სოფელს გომში თ. ბეგთაბეგიშვილს მოსვლია რაღაზედაც ლაპარაკი სოფელ ნაბახტევის მღვდელ ონოფრე გულისაშვილთან და მძიმედ დაუჭრია მკლავსა და თავში ხმლით.

*** ოსეთი: ბარის ოსეთში ქურდობა არ ახალია-ძველია. ქურდობა უფრო გახშირებული იყო შარშან სოფელს ხუმელაგაში. ქურდ-ბაცაცებმა ძალიან გაიმარჯვეს აქ. ქურდო-


ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთ შეკრებილება ამით აცხადებს, რომ უმართებულესის სენატის დეპარტამენტ გეროლდიისა უკაზის ძალით 26 ნოემბრის 1890 წელსა № 6735 იგი შეუდგება მინგრელიის მკვიდრთა თავადთა და აზნაურთა ღირსებათა განხილვას, იმის გამო მოუწოდებს ყველა მსურველს, რათა მათ წარმოადგინონ თვისი ამ საგანზედ სიმართლენი.

(3—3)


## ფელეტონი

### „ღმერთო ნუ მიწყენ"!

VIII*)

რაც დრო გადიოდა, ილიკოს უფრო და უფრო აკლდებოდა ის სიმკვირცხლე და ჯანი, რომლითაც ბუნებას დაესაჩუქრებინა. უდარდელობა და ყმაწვილობის სიცელქე ესწრაფებოდა უდროვოდ მის ბუნებას. რაღაც ნაირი სიწყნარე და სინაზე, დაღალულების ბეჭედი, ეჯდა მთელს მის არსებას. ამას ყველა აჩნევდა, თვით მასწავლებლებიც-კი — ხნოვანების შეუფერებელი სიდინჯე ეტყობა ამ ყმაწვილს მარტო ხასიათით არ შესცვლია; ჭკუა-გონება და თვალთ-ხედვის ისარი მეტად გაუფართოვდა. ამას მოჰყვა ის, რაც ყოველს ნიჭიერს ბავშვს ხშირად ემართება. ხალისი დაჰკარგა გაკვეთილების სწავლისა. იმის გონებას აღარ აკმაყოფილებდა ის, რასაც კლასში უკითხავდნენ. მისი ჭკუა ითხოვდა უფრო მეტს საზრდოს, უფრო ძნელად შესათვისებელს მასალას, ვიდრე სხვებისა. მის ჭკუას, როგორც მშიერს ნადირს, უნდოდა ერთბაშად ჩაეყლაპა, რაც-კი შესაძლო იყო. იმას გულს უწყრილებდა ვიღაც მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ყოველს ალგებრაულს მოქმედებას ლეჰკით უხსნიდა მოწაფეებს. გულს უხეთქავდა აგრეთვე რუსულის ენის მასწავლებელი, რომელიც საზეპირო გაკვეთილებს აძლევდა, ან კიდევ კლასში წინადადებას არჩევინებდა. ილიკოს არ შეეძლო ამაების მოსმენა ყურადღებით. ესენი იცოდა, ესმოდა, იმას სხვა ნაირი, უფრო ძნელი, უფრო სახალისო საარჯიშო უნდოდა. როგორ მოისმენდა ის რუსულ ენის გაკვეთილს, როდესაც თვითონ ლექსებს სწერდა და ჰგრძნობდა, რომ მისი ლექსები უფრო გრძნობით იყო დაწერილი, უფრო ჰარმონიული და უფრო ცხოველი იყო, ვიდრე ის, რომელსაც იქ ასწავლიდნენ.

თავდაპირველად ილიკომ სახლში გაკვეთილების სწავლას დაანება თავი, რადგანაც, მართლაც რომ ეს მისთვის მეტი იყო, რაკი კლასში ყურადღებით მოისმენდა და დაისწავლიდა ხოლმე კიდეც. ბოლოს კლასშიაც მობეზრდა მასწავლებლების სმენა, იმას ეგონა, რომ ისინი ერთსა და იგივეს იმეორებდნენ. ამის გამო, რომ უფრო თავისუფლად ყოფილიყო კლასში, უკანასკნელს მერხულზე გადაჯდა და იქ ყურის გდების მაგიერად ხან ჰხატავდა, ხან ლექსებს კითხულობდა და ხან თვითონ სთხზავდა. მასწავლებლებმა ყველამ შეამჩნიეს ეს ცვლილება ილიკოს. მაგრამ გაკვირვებულნი იმის ნიჭით პედაგოგნი ვერ მიმხვდარიყვნენ მის ბუნებას და ათას-ნაირის დასჯით სცდილობდნენ მოერჯულებინათ ბავშვი. ერთხელ, როდესაც ილიკო გატაცებული გრძნობით, ლექსსა სწერდა, მასწავლებელი მიეპარა და ლექსების რვეული წაართვა. ეს უმწვერვალესი სასჯელი იყო ილიკოსთვის. როგორ? ვიღაც მასწავლებელი წაიკითხავს იმ ლექსებს, რომლის ყოველს სიტყვაში ჩართულია ჩემი ფიქრები და გრძნობა და მერე ამ გრძნობას სასაცილოდ აიგდებსო, არა, არა, მე მაგის მოთმენა არ შემიძლიანო.

— ბატონო მასწავლებელო, წამოსთქვა აღელვებით ილიკომ, მე გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი რვეული და სამაგიეროდ, თუ გნებავთ, სასაველებლიდგან გამომრიცხეთ.

როდესაც მასწავლებელმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და ღიმილით გადაშალა რვეული, ილიკომ გაცეცხლებით წამოიყვირა: თქვენ უზრდელი ბძანდებით, მე ამას ვერ მოვითმენ! ამ სიტყვებით ილიკომ მასწავლებლისკენ გაიწია, მაგრამ ამხანაგებმა შეაჩერეს და პატარა ხანს შემდეგ ილიკო ბნელს ოთახში იჯდა.

ილიკო ბნელის ოთახში იჯდა, ეს სასჯელი საიმისოდ არ აწუხებდა, რადგან გულში გადაწყვეტილი ჰქონდა სკოლიდგან გამოსვლა და მასწავლებლის გალანძღვა, მხოლოდ თავის რვეულის ბედი აწუხებდა.

— მე აქედგან არ გავალ მანამ რვეულს არ დამიბრუნებენო, ფიქრობდა ილიკო. როდესაც ის ამ ფიქრში იყო, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მასწავლებლებს: თუმცა ცოდოა მაგნაირ ნიჭიერ ბავშვის გამოგდება, მაგრამ მეტი საშველი არ არისო, გადასწყვიტეს პედაგოგებმა, და ეს რვეული გადაწყვეტილებითურ გაეგზავნოს მის პატრონებსაო. ასე გათავდა ილიკოს ბედი სასწავლებელში.

პავლიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას გარდა სოფლის ყრილობასაც, როგორც უნდოდათ, ისე ატრიალებდნენ. ბურთი და მოედანი იმათ დაინარჩუნეს. რა არის ამისი მიზეზი? უფრო სოფლის მოხელეებს აბრალებდნენ ყოველსავე ამას. იმათის მიზეზით გათამამდნენ ავი კაცები და ასე შეგვდგნენ ზედა. ხუმელაგელებმა ეს ველარ მოუთმინეს მამასახლისს, უჩივლეს ოლქის უფროსის წინაშე და საქმე დღეს გამოძიებაშია ჩავარდნილი.

*** სოფ. ზოვრეთი (შორაპნის მაზრა) ჩვენის სოფლის მღვდელმა და ბლაღოჩინმა მ. ი. ა—ძემ თვისდა რწმუნებულს სამრევლო სკოლასთან გაჰმართა, ეპისკოპოსის გაბრიელის ნება-დართვით, წიგნთ-საწყობი, სადაც ისყიდება სხვა-და-სხვა ქართულს წიგნებს გარდა, ყოველ-გვარი სასწავლო ნივთი და აევჯი სამრევლო და სხვა სკოლებისათვის. არ იქმნება ურიგო, რომ ამ წიგნთ-საწყობთან ერთად დაარსებულ იქმნას აგრეთვე სამკითხველოც, რომ ყოველს წიგნის მცოდნეს შეეძლოს უსასყიდლოდ იშოვოს მცირეს ხნით წიგნი საკითხავად.

*** ახალ-სენაკი: ჩვენსკენ ჯერჯერობით მშვენიერი დარებია. ძვირად თუ ამისთანა კარგი ამინდი გვენახოს ვისმეს იანვარში. ერთი სიტყვით ცოტა რომ აღმოსავლეთის ქარი აღარ ჰქროდეს, გაზაფხული გვექნება გაჩაღებული. ავადმყოფობა ამ მოკლე დრომდე სრულიად არაფითარი იყო, ეხლა-კი ცოტა გახშირდა, ქურდობაც უფრო გაძლიერებულია, ვინემ შარშან და შარშან წინ. თითქმის საქართველოს ყოველს დაბასა და სოფლებშიაც გაიმართება რაიმე საქველმოქმედო აზრით წარმოდგენები, მაგრამ ჩვენში ამ გვარ საქმეებისთვის არავის არ წამოსტკივდება თავი. თუმცა აქ ძალიან ადვილად შეიძლება წარმოდგენების გამართვა, რადგანაც ნასწავლი და განათლებული ახალგაზდობა აქ საკმაოდ მოიპოვება. მაგრამ სად არის მოთავე. ყველა თავისს კერძო საქმეს, პირადს ინტერესს მისდევს და ის არის.

*** იქადგმვე: ჩვენს დაბაში ყოველ წლივ აშენებენ ახალ-ახალ სახლებს, მაგრამ მაინც დიდი ნაკლებულებაა სახლებისა. რიგიანად გაკეთებული სახლი მდგმურებით სავსეა. ხეირიანს სადგურს ვერ იშოვნის კაცი. ღვთით თან-და-თან მატულობს მცხოვრებთა რიცხვი და თან-და-თან წარმატებაში შედის ჩვენი დაბა ქონებითა და გარეგნობით.

*** ქუთაისიდამ სწერენ „Нов. Обоз."-ს: ღამის თორმეტს საათზედ, 15 ამ თვისას, ტფილისის ქუჩაზე დასჭრეს ცულით თავში მედუქნე, გვარად ვარდოსანაძე. აი საქმე როგორ იყო: ვარდოსანაძე ჰკეტავდა დუქნის კარებს და იმ დროს თავზე წაადგა ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც ვარდოსანაძემ შეჰნიშნა, მომშორდი თავიდამაო. იმ დროს უცნობმა კაცმა ამოიძრო სარტყლიდამ ცული და თავში დასთხლიშა ვარდოსანაძეს. ვარდოსანაძე ხელში სწვდა ავაზაკს და უნდოდა ცული წაერთმია. ამ დროს ავაზაკმა თვალი მოჰკრა, რომ ჭრილობიდამ ვარდოსანაძეს თქრიალით გადმოსდის სისხლი, და მოჰკურცხლა. დაჭრილი გამოუდგა და გუბერნატორის სახლამდე მისდია, მაგრამ რადგანაც ამდენს მანძილზე ვერც ერთს პოლიციელს ვერ შეხვდა და ამასთანავე ჭრილობაც ძლიერ ასტკივდა, უკანვე გამობრუნდა, მოვიდა დუქანში და გული წაუვიდა, მეორე დილით გაგზავნეს საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს და დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ვასილი ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს დაუმთავრებია თავისი დიდი რომანი, რომლის არაკად აღებულია პუშკინის ყოფნა კავკასიაში და ამას გარდა შესდგომია ახალ ისტორიულ რომანის დაწერას, რომელსაც ეწოდება „ხვედრი საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა", „აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, და სხვ.

*** გაზ. „Каспій" ამბობს, რომ ნავთის მწარმოებელთ განუზრახავთ გამართონ სპარსეთში ნავთის ქარხანა და ამ აზრით უკვე ორი ნავთის მწარმოებელთაგანი ყოფილა სპარსეთში და შეუკრავთ კიდეც პირობა იქაურს მთავრობასთან რამდენისამე ქარხნის გამართვის შესახებაო.

*** ბათუმიდგან დეპეშით აუწყებენ «Тиф. Лис."-ს, რომ 16 იანვარს, ნაშუადღევის ორს საათზედ, საქონლის სადგურთან ავაზაკებმა გასძარცვეს როტშილდის ქარხნის მუშათა ამხანაგობის უფროსი დებელევი და წაართვეს ათასი თუმანი. ავაზაკნი სადღაც მიიმალნენ და ჯერაც ვერ უპოვნიათ.

*** იანვრის 17, დილის 10 საათზე, ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივმა ნატალია ზუბაბის ასულმა პირადოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ნიკოლოზის ქუჩაზე სახლის ფანჯარა გამიტეხეს და მომპარეს სამი რევოლვერი, ორი თოფი და სხვა ნივთეულობა, სულ 390 მან. ღირებულიო.

*** ამავე დღეს ფრეილინის ქუჩაზე, შადინოვის სახლში, თავ. მაჩაბლის მოსამსახურეს გოცირიძესა და გიორგობიანს სამზარეულოდგან მოჰპარეს საათი და ხანჯალი, ღირებული 35 მანეთად. ეჭვი პატრონებმა მენახშირე აკოფოვზე გამოაცხადეს.

## ორიოდე სიტყვა ჩვენის სცენის გამო.

ქართულის თეატრის სეზონმა უკვე შუა ხანს მიაღწია, ხანს გაცხოველებისას, გამოფხიზლებისას და საზოგადოების მიერ თანაგრძნობისას. ეს ის ხანაა, როცა ქართულს წარმოდგენებს ყბა ახვეული და რიგზედ ჩამწკრივებული სკამები-კი არ შესცქერის, არამედ ცოტად თუ ბევრად ხალხი დადის და დასი საზოგადოებას გულ-გრილობას ვერ უჩივის. დასი-კი ვერას უჩივის-რა საზოგადოებას, რადგან არც საჩივარი მიზეზი და საბაბი აქვს რამე, მაგრამ თვით საზოგადოება იმდენად სულ-გრძელი იქნება და ადვილად შეამჩნევს დასის დღე დღითი შეცოტავებას და შესუსტებას, თუ არა, ამისი-კი რა მოგახსენოთ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ძველი, რამდენისამე წლის არტისტები როგორღაც გაუგულგრილდნენ, შემოეცალნენ და შორს გაექცნენ ქართულს სცენას. რასაკვირველია, ყოველს მათგანს რაიმე მიზეზი ჰქონდა წასვლისა, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჭკვა ამხანაგსა—მიზეზ მიზეზო და ამასობაში ქართულს სცენაზედ მოღვაწეთა რაზმი თანდათან შეთხელდა, შეცოტავდა, დაიქსაქსა. აღარ არიან ჩვენს სცენაზედ ქალები: მ. ყიფიანისა, ბ. კორინთელისა, მ. მმინაროვისა და ქ. ანდრონიკაშვილი, კაცები: კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. ალექსი მესხიშვილი, ზ. მაჩაბელი, ი. ცაგარელი და კ. მმინაროვი, ძმანი აწყურელნი და ნ. ერისთავი.

ეს თორმეტი კაცი მთელი დასია, თუმცა კი საშუალო ღირსებისა, მაგრამ მაინც ისეთი დასი, რომ წარმოდგენ-ბის მართვას ადვილად შეიძლებდა, უკეთესნი რომ ერთს ალაგას იყვნენ, ერთად თავ-მოყრილნი. ამ ცამეტის კაცის მიუხედავად წლევანდელი სეზონი მაინც დაიწყო, დასმა მაინც თავი მოიყარა და იმდენად ვარგისმა დასმაც, თუმცა ცოტადენი გულგრილობას და უხალისობასაც არ-მოკლებულმა, რომ ამ უკანასკნელს ხანში რამდენისამე ახალის პიესის წარმოდგენა შეიძლო ზედი-ზედ. საზოგადოებაც ასე თუ ისე მოურიგდა დღევანდელს განახევრებას ქართულის დასისას, ალბად იმ იმედით თუ, რომ „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო". იქნება იყო კიდეც ეს იმედი, მაგრამ მისი გამართლებისა-კი რა მოგახსენოთ, რადგან წამსვლელი ბევრია და მომსვლელი თითქმის არავინ, რადგან მომსვლელებად ჯერ ვერ ჩავსთვლით იმ ორიოდე ახალგაზდა მოღვაწეს სცენისას, რომელნიც ამას წინად გამოვიდნენ საერო თეატრში და ჯერჯერობით ნამდვილად ულელში არ არიან ჩაბმულნი.

ეს მცირე შენიშვნა იმან გამოიწვია, რომ, ზემოხსენებულთა გარდა, ამ სეზონის დასაწყისიდგან კიდევ ორი ადამიანი, ორი შესამჩნევი მშრომელი და მოღვაწე დააკლდა ჩვენს სცენას: ერთი ნ. გაბუნია, რომელიც, რადგან ტფილისში აღარა სცხოვრობს, იძულებულ შეიქმნა სცენას განშორებოდა, თუმცა იმედია დრო-გამოშვებით კიდევ ესტუმრება ამ თავისს საყვარელს ასპარეზს ხელოვნებისას და მეორე—ს. სვიმონიძე, ახალი არტისტი ჩვენის სცენისა, რომელიც სხვა ქალაქში წავიდა. ქ-ნ გაბუნიას ისე იცნობს ყველა ჩვენგანი, რომ მისის წასვლით გამოწვეულს დანაკარგს ადვილად გაითვალისწინებს, თუ ერთხელ მაინც უნახავს სცენაზედ, სვიმონიძეც-კი, ვიმეორებთ, ახალი არტისტია და ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებ.

ორი სეზონია, რაც ეს ახალგაზდა არტისტი ტფილისის სცენაზედ ჰშრომობს და მოღვაწეობს, აქამდე ქუთაისში იღებდა ხოლმე ქართულ წარმოდგენების დროს მონაწილეობს, ამ ორს წელიწადში სვიმონიძემ საკმაოდ გამოიჩინა ყოველივე თავისი უნარი და, სამართლიანობა ითხოვს ვთქვათ, რომ ბუნებრივს ნიჭს მოკლებული არ იყო. ამას ზედ დაურთეთ სასცენო გარეგნობა, სამშობლო სცენის სიყვარული და იმდენი განვითარება, რომ როლის შეგნება და სათამაშო მომქმედ პირის ხასიათის გათვალისწინება შეეძლო, და ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენის სცენის ერთი სასარგებლო არტისტთაგანი იყო. რასაკვირველია, ნაკლიცა ჰქონდა, უბრალო-ბრალიანზედ ხშირად აღელდება იცოდა, ცოტაოდნად მგრძნობიერს სცენას მელოდრამულს ფერს სდებდა და როლს გულ-დადებით არ ჩაუკვირდებოდა და ჩაუფიქრდებოდა ხოლმე, შრომას არ ანდომებდა, გულ-აჩქარებით ეკიდებოდა, თუმცა-კი უნარს მუშაობისას მოკლებული არ იყო, მაგრამ ასეთი ნაკლი, განსაკუთრებით უკანასკნელი ჩვენის სცენის თითქმის ყველა არტისტს აქვს და ასეთი ბრალი ყველას ერთ გვარად მიუძღვის. მარტო მის მიერ ნათამაშევ ლაერტის ნახვა კმარა, რომ ადამიანი პირველშივე დარწმუნდეს, ეს არტისტი ნიჭს მოკლებული არ არისო.

ასე, თუ ისე, ქართულს სცენას ორი ხეირიანი არტისტი დააკლდა და არ ვიცით, როგორ მოინელებს ამ დანაკლისს. დიდად სამწუხარო მოვლენაა, რომ სამშობლო სცენას დღითი დღე საუკეთესო მოღვაწენი აკლდება და მატებით-კი არავინ ემატება, ახალგაზდა არავინაა ჩანს, რომ იმათი ადგილი დაიჭიროს. რაღა თქმა უნდა, ამ დუხჭირს მოვლენასაც თავისი მიზეზი აქვს, მიზეზი მეტად რთული და იმის ორიოდე სიტყვით გამოთქმა და გამოძიება ყოვლად შეუძლებელია. მაინც-კი ისინი, ვისიც მოვალეობაა, უნდა ჩაუფიქრდნენ ამ მიზეზს და ანგარიში გაუწიონ, თორემ თუ ასე იარა საქმე, ერთს დღეს ქართულს სცენაზედ ერთად-ერთი კაცი დარჩება და ისიც სუფლიორი იქნება. ჯერ ეხლავე ისე შეცოტავდა სცენაზედ მოღვაწეთა რიცხვი, რომ სამშობლო ხელოვნების ტაძარს ორიოდე დედა-ბოძი-ღა უდგას და ის იმაგრებს. თუ ისინიც გამოეცალნენ, მერე ერთბაშად ძნელი-ღაა ამ საქმის თავის მოვლა, მოსალოდნელს უბედურებას ეხლავე უნდა აეცილოს გზა, რამდენადაც შესაძლებელია, წამალი უნდა დაედოს.

მ—ძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია. ახალი დევ-გმირები გამოგვიჩნდნენ გურიაში. ეს ვაჟბატონები ვგონებ ძველებურის დროის წესის მიმყოლნი არიან, არაფრად აგდებენ თოფ-იარაღის ხმარებას და თავისის წამხდარ ჟინის მოსაკლავად დავითისებურ შურდულსა ჰხმარობენ. მერე რა ჟინია ეს ჟინი, რატომ არ იტყვით. მოგახსენებთ, გურიის რამდენსამე სოფელზედ რკინის გზა გადის. ზოგი-

---

## გრაფ პავლე სერგის ძე პოტემკინი და საქართველო.[1])

გენერალს იაკობს შემდეგ კავკასიის ჯარს მეთაურობდა გენერალი ფაბრიციანი, რომლის სიკვდილის გამო (1782 წ. ოქტომბერში) კავკასიის ჯარის წინამძღოლად დანიშნულ იქმნა გენერალ პორუჩიკი გრაფი პავლე სერგის ძე პოტემკინი (ბიძაშვილი უგანათლებულესის კნიაზის ტავრიჩესკისა); იგი ცნობილი იყო მაშინვე პროექტით ეხლანდელის სტავროპოლის გუბერნიის მინდვრების დასახლებისა სახელმწიფო გლეხებით. გრაფი პავლე სერგის ძე გათქმული იყო, როგორც მეომარი გენერალი. პირველს ოსმალოს ომიანობაშივე მიღებული ჰქონდა წმ. გიორგის 4 და 3 ხარისხის ჯვრები; პუგაჩევის აჯანყების დროს იმყოფებოდა ყაზანში, როგორც უფროსი საიდუმლო კომისიისა; ამისათვის იმპერატრიცამ უბოძა ალმასებით მოჭედილი ოქროს ხმალი და მალე ალექსანდრეს ლენტი და კამერგერის გალუნებიც. პოტემკინი მოვიდა კავკასიაში 8-ს ოქტომბერს 1782 წ. პირველად პოტემკინმა ათაგინელების (ჩაჩნების ტომისანი) დამორჩილებას მიაპყრო ყურადღება; იგინი ძველადგანვე გათქმულნი იყვნენ უკეთესის იარაღის კეთებით და მეტად მეომარი ხალხი იყო. მთელს ჩაჩნის მონათესავე მთიულებში მხოლოდ ათაგინელებს ეპირათ თავი მაღლა — არა მორჩილებდნენ რუსებს და მძევლებს არ იძლეოდნენ. სხვა მთიულებსაც რომ არ მიებაძნათ ათაგინელებისათვის, პოტემკინმა 1783 წ. მარტშივე გაუსია პოლკოვნიკის კეკის წინამძღოლობით რუსის ჯარი. კეკი გადავიდა სუნჟას (მარცხნივ ერთვის არღუნს), ხანკალის ხეობაში დაამყოფა ბატალიონი 4 ზარბაზნით, მიუხდა სოფელს ათაგას (მდებარებს მდ. არღუნის მარჯვენა ნაპირზედ) და ერთიანად გადაბუგა ცეცხლით. ათაგინელებმა მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა და მოსცეს მძევლები. ამას შემდეგ პოტემკინმა პირველ ხანად გზა აუქცია კავკასიის მინდვრების დასახლების საქმეს და მთელი თავისი გამჭრიახობა და უნარი მიაპყრო რუსეთის სადიპლომატო მიწერ-მოწერა— მოლაპარაკებას საქართველოს მეფე ირაკლისთან, რომელიც დაიყოლია კიდეც რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. ესეთი გამარჯვების აქტი (ტრაქტატი) ხელ-მოწერილ იქმნა გორში[2]) 24-ს ივლისს 1783 წ. ამ აქტით პირველად დამყარდა რუსეთის ქვეშევრდომობა საქართველოში. ამ აქტში, რომელიც თვით პოტემკინისაგან იყო შედგენილ-შემუშავებული გეორგიევსკში, პირველ მუხლად იყო დადგენილი საქართველოსათვის სრულიადი უარყოფა სპარსეთის ქვეშევრდომობისა საუკუნოდ. ეკატერინამ თავს იდვა დაცვა საქართველოს სამეფოსი და მფარველობა ირაკლის შთამომავლობისა საქართველოს სამეფო ტახტზედ, შეიყვანა საქართველოში რუსის ჯარი[3]) და მით მოსპო სპარსეთის გავლენა. კერა ქართველთა ცხოვრების მწარე ბედისა, ამ ნაირად, ისევ გადმოტანილ იქმნა თეირანიდამ ტფილისს...

საქართველოს მეფის კავშირს შეუდგა და მალე დაიფიცა რუსეთის ქვეშევრდომობაზედ მაშინდელმა დაღესტნის ყმამ მურთუზალიმ, ტარკოვის შამხალმა (ეხლანდელი ტემირ-ხან-შურის ოლქი ზღვის პირად მდ. კოისუს შესართავის სამხრეთად). თვით აქტის შედგენა დააბრკოლა მურთუზალის უეცარმა სიკვდილმა (მოწამლეს, ვგონებ); იგი შესდგა 24 მაისს 1786 წ. იმპერატრიცამ უბოძა პოტემკინს ღირსება გენერალ-პორუჩიკისა, ლენტი ვლადიმირისა 1 ხარისხისა, ბრილიანტის საბუნეთე კოლოფი თავისის სურათით და ექვსი ათასი მანათი ოქროს ფული.

საქართველოს მხრივ რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარებამ პოტემკინს აუჩქარებინა განკარგვა საქართველოში მისავალ მოსავალის გზებისა. ერთად-ერთი გზა კავკასიაზედ მეტად საშიში იყო და რუსის ინჟინრები

---

[1]) იხ. Кавказ. война პოტტოსი 1 ტომის 1 ნაწილის 125 გვ.

[2]) ტფილისში ეშინოდათ, რადგან თავადაზნაურობა და თვით ბატონიშვილებშიაც წინააღმდეგნი იყვნენ მრავლად. ლევან ბატონიშვილი მსხვერპლია ამ ტრაქტატისა: იგი უეცრად გარდაიცვალა ს. გეჯინში, აბაშიძის კოშკში. ეს კოშკი დღესაც მთლად არის და გადმოჰყურებს ხევს.

[3]) ამ ჯარის მოქმედებაზედ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მგზავრი სადგურებში აგროვებს მოზრდილს ქვებს და იწყობენ ჯიბეში. ეს ქვებით აღჭურვილი ვაჟკატონები, თითქოს ბრძოლის ველზედ გამოსულან მტერთან საბრძოლველადაო, მატარებლის სიარულის დროს, იცქირებიან ვაგონის სარკმელიდგან, დაინახავენ თუ არა გზის მცველებს ან სხვა გამვლელ-გამომვლელს სასროლს მანძილზე, შეუბრალებლად ესვრიან ქვებს. ამ დღეებში სამი ადამიანი მძიმედ დასჭრეს და საშინლად დაასახიჩრეს. როგორც ამბობს, ქვების მსროლელნი ვიღაც ნაფიცნი მეომარნი არიან თურმე. თითონ თუ მოსცლიათ, ამ ხალხს, სხვას რას ემართლებიან ასეთის უბედურებას. საკვირველია, რაღა აქ მოსდომებიათ თავისის სიმარჯვის გამოჩენა და რაღა ჩვენი სოფლები ამოურჩევიათ ამ სიმარჯვის საასპარეზო მოედნად.

**

ჩვენში დიდ-ძალს საქონელს ჰხოცავს და სჭრის მატარებელი, რკინის გზის გაყვანას შემდეგ. ყოველს საქონელს მატარებელი ძალიან ადვილად ჰსრესს და იშვიათად თუ ერთი-ორის წუთით შეაჩეროს ხოლმე მატარებელი რომელმამე ქვეშ მოყოლილმა ხარმა, ან ძროხამ.

საქონელს რომ მოჰკლავს, ან დასჭრის მატარებელი და შეჩერებას იქმნება იძულებული, ამას მოჰყვება ხოლმე ჟანდარმი, ან სხვა რკინის გზის მოხელე, იძიებს, ვისია საქონელიო, და ოქმს ადგენს. მოკლულისა და დაჭრილის საქონლის პატრონი უკან იხევს, თავს არ იჩენს, იმალება, რადგან კარგად იცის, რომ თუ პატრონად გამოაცხადა თავისი თავი, ზარალზე ზარალი მოემატება—ჯარიმას გადაახდევინებენ. ხშირად დაჭრილსა და საკლავად სავარგისს საქონელს ეპატრონება გარეშე კაცი, „ვინც წაეკვრება".

ამ ერთის თვის წინად სამმა აჯაურმა კაცმა თავიანთ მეზობლის ძროხა, რომელსაც სუბუქი ჭრილობა ჰქონდა ფეხზე, პატრონის დაუკითხავად დაჰკლეს და ხორცი გაინაწილეს. როცა პატრონმა გაიგო და ჰკითხა, ეს რა გიქნიათ, გადამიხადეთო, იმათ პირ-მკვახედ ასე უპასუხეს: „კაი ბიჭი ხარ და აბა გაბედე ამის სადმე გამხელა, ქა ნახავ, რაც წაგეკიდება." როგორც იყო გაბედა და უჩივლა ჩოხატაურის მომრიგებელს მოსამართლესთან. მოპასუხენი გამოტყდნენ და დასძინეს, რომ რკინის გზაზე დაშავებული იყო საქონელი, ამაზედ ოქმიც არის შედგენილიო და გთხოვთ უარი უთხრათ მომჩივანსაო. მომრიგებელმა მოსამართლემ, რასაკვირველია, როგორც სხვისის საქონლის მიმთვისებელს, მოპასუხეებს მომჩივნის სასარგებლოდ გადაუწყვიტა გადასახდელად ძროხის ფასიც და აგრეთვე ჯარიმაც გადასახდევინა.

ვისიც ჯერ იყო, ბევრჯელ გამოუცხადა ხალხს, ასაცილებლად უბედურებისა და თქვენის საკუთარის ზიანისა, თქვენ თქვენი საქონელი მოარიდეთ გზასაო, მაგრამ არ იქმნა და ვერ შეიგნეს, რომ ერთმანეთს მიჰყვნენ, მიეწყონ, დაუჯერონ, რამდენიმე კომლი შეერთდეს ამ საქმეში და ერთი მწყემსი დაიჭირონ. არც ისე გაფანტულია მოსახლეობა, რომ მწყემსის დაჭერა მოუხერხებელი იყოს.

თეოფანე კალანდარიშვილი

◆◆

## კავკასიის სამკურნალო საზოგადოება.

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრებაზე ამ თთვის 16-ს წაკითხულ იქმნა ფრიად საყურადღებო წერილი მკურნალ გ. ი. როძევიჩისა, რუსეთიდგან გამოგზავნილი. ამ წერილს სათაურად შემდეგი აწერია: „შირიმი კავკასიაში" და შეიცავს სასტატისტიკო ცნობებს ამ ავადმყოფობის გავრცელებისას იმიერსა და ამიერს კავკასიაში. ავტორი კავკასიის ანთროპოლოგიურისა და გეოლოგიურის აღწერით იწყებს თავისს წერილსა და ამბობს, რომ შირიმით ავადმყოფობა კავკასიაში ძლიერ ძველის დროის ამბავიაო. როძევიჩი სასტატისტიკო ცნობებით ამტკიცებს, რომ ეს ავადმყოფობა ასე არსად არ არის გავრცელებული, როგორც კავკასიაში. ამის მიზეზი ის არის, რომ კავკასიის მთიურ მდინარეების სასმელს წყალს ბევრი გახსნილი კირ-ქვიშა მოსდევს. ამასთანავე წერილში ბევრი რამ არის ნათქვამი იმის შესახებაც, თუ როგორ სწამლობენ კავკასიელი ექიმბაშები და მკითხავები ამ სენს. მაგალითად, მოხსენებულია, რომ დაღესტნელები შირიმიანებს წამლად აჭმევენ ხოლმე შემწვარს ჩიტებს, სხვა-და-სხვა ბალახეულობის თესლს, ხაშხაშს, თაფლში მოხარშულს ნიორსა და სხვას. ერთს ქართულს კარაბადინში, რომელიც ბ-ნს გრენს შეუძენია, შემდეგი წამალი სწერია შირიმისა: „უნდა მოიხარშოს თესლი ჰინჰრისა, ოხრახოშისა, ნიახურისა, დალიოს წვენი, დაჯდეს ქვიშაზე, დალიოს აიაზმის წყლით დანაყილი კიბოს თვალი—და კენჭი (შირიმისა) გადმოვარდება ქვიშაზედ. მეორე წამალი შირიმისა: „აურიე ორი მისხალი ნუშის ზეთი, და ერთი მისხალი თეთრი ნავთი; აიღე სამი წილი წყალი და ერთი წილი არაყი. დაასხი აქედგან 20 წვეთი არეულს ნუშის ზეთსა და ნავთს და სვი უზმოზე, ვიდრე მორჩებოდე". როძევიჩს შემდეგი მაგალითიცა აქვს მოყვანილი. თიონეთის მაზრაში მკითხავები და ექიმბაშები ბევრ ნირს წამალსა ხმარობენ შირიმის მოსარჩენად და მათ შორის ერთი ექიმი პურმამედი შემდეგს: „უნდა აიღოს ათი მისხალი დაფხეკილი ტყვია, ექვსი მისხალი შაბი, რვა მისხალი მარილი და ათი მისხალიც გოგირდი; სუყველა ეს ერთად უნდა დაინაყოს და ადუღოს ძლიერ დიდხანს წვიმისა ან თოვლის წყალში. ეს დასალევი წამალია. ამასთანავე მილში ავადმყოფს დღეში ორჯელ უნდა ჩიუშვას ძელების გამონახადი ზეთი და ავადმყოფს დედამაც უნდა პირით გამოსწოვოს, რომ კენჭი გამოვიდეს. წამლობის დროს ავადმყოფს მარილიანი ხაჭმელი არ ექმევა." ამ ექიმბაშა—პურმამედსაო, ამბობს წერილის ავტორი, ბევრისთვის უჩვენებია ლობიოს მარცვლის ოდენა კენჭი, რომელიც ავადმყოფისთვის გამოუღია თავისის წამლობითაო.

კავკასია დიდს ხანს იყო არაბებისა, სპარსელებისა, ბერძნებისა, და რომაელების ხელში და ამიტომ უკვალენოდ არ დარჩა იმათი აქ ყოფნაო. ამ გარემოებას კავკასიელთა კარაბადინები ამტკიცებს. კენჭის გასაქრობი წამლების ხმარება სწორედ ზემოდ დასახელებულ ხალხებისაგან არის შემოღებული კავკასიაში. ამ ხალხების ბატონობის დროს მათი ექიმები დაიარებოდნენ სოფლიდგან სოფლად და ავადმყოფებს არჩენდნენ. ეხლაც სწორედ ამ გვარადვე მრავალი ექიმბაში და მკითხავი დაიარება კავკასიაში და ავადმყოფებს სწამლობს. უწინდელს დროში ამ გვარს ექიმებს მნიშვნელობაცა ჰქონდათ და სარგებლობის მოტანაც შეეძლოთ. შვილები მამებისგან სწავლობდნენ წამლობას, კარაბადინები ეჭირათ ხელში სახელმძღვანელოდ და ასე თუ ისე გამოცდილნი და დახელოვნებულნი იყვნენ წამლობაში. მათი კარაბადინები გადაულებლად არ დარჩა. ცნობის მოყვარე ადგილობრივმა ექიმებმა და მკითხავებმა თავიანთს ენაზე გადასთარგმნეს. ამის გამო ეხლა ქართულსა, სომხურსა, სპარსულსა და სხვა ენაზე მრავალი კარაბადინი მოიპოვება. ამ კარაბადინებში სწერია, თუ როგორ უნდა მოუარონ და ეწამლოს სხვა-და-სხვა გვარს ავადმყოფს. მომეტებული ნაწილი წამლობისა და დარიგებისა ამ წიგნებში გიპოკრატისა და გალენისაა, რომელსაც ქართულად ჯანაოზი ეწოდება. ამ გვარი კარაბადინები საფუძველი შეიქმნა კავკასიაში სამკურნალო ლიტერატურისა. ხოლო შემდეგში ეს ხელობა შესამჩნევად გაძლიერდა.

გაჭრა და ისე ამოღება კენჭისა ყველგან ერთნაირად არ არის გავრცელებული და შემოღებული კავკასიაში. ამ გვარად წამლობა შირიმისა უფრო დაღისტანში იციან. ამ ქვეყანაში მთელი დასია ამ გვარის ექიმებისა, რომელთაც „ჯარა ექიმს" ეძახიან. ჯარა ექიმების შვილები მამისაგან სწავლობენ ამ ხელობას და თითონაც ამ ხელობას მისდევენ შემდეგში. უფრო გამოჩენილსა და შესანიშნავს ჯარა ექიმებს სხვა შეგირდებიცა ჰყავთ ხოლმე, თავისს შვილებს გარდა. ნასწავლი რუსი ექიმები გაკვირვებულნი არიან იმ დახელოვნებითა და გამოცდილებით, რასაც დაღისტნელი ჯარა ექიმები იჩენენ. მეტის მეტის მოხერხებითა და ადვილად გაუჭრიან ხოლმე ავადმყოფებს კანსა და კენჭებს აცლიან. ზოგჯერ თითის ფრჩხილითაც-კი უჭრიან კანსა დანისა და სხვა იარაღის მაგიერ ამ გვარად მორჩენილები კარგა ხანსა სცოცხლობენ და ბევრჯელ კარგს ჯანზედაც არიან ხოლმე. ამ წამლობასთან ერთად, რა კითხვა უნდა, სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობითაც ხელმძღვანელობენ, მაგალითად ამბობენ, რომ ავადმყოფმა ამოღებული კენჭი ნიადაგ თან უნდა ატაროს და თუ დაეკარგა, შირიმი ხელმეორედ აეშლება და ვეღარც მორჩება მეორედაო. ტფილისის გუბერნიის სოფელს ურიათუბანში ერთი გამოჩენილი მკითხავია და საკვირველად არჩენს შირიმიანებს: პირდაპირ ხანჯლის შვილით გაუჭრის ხოლმე მუცელსა და ისე ამოაცლის კენჭს. გაჭრილის მოსარჩენად ხმარობს ზეითუნის ზეთსა, საკმელისა, წმინდა სანთლისა, თხის ქონისა და კვერცხისაგან მომზადებულს მალამოს. საკვირველი ისაა ამ მკითხავისა, რომ ვისაც-კი უწამლა, ყველა მოარჩინა და არავინ არ შემოჰკვდომია. ერთი ამგვარი ამბავი ქალაქ ბაქოშიაც მოხდა. ერთს შირიმიანს ავადმყოფს ვიღაც ნასწავლი მკურნალი სწამლობდა სამი წელიწადი, მაგრამ ვერაფერი უშველა. შემდეგ ურჩიეს ავადმყოფის ნათესავებს, ესა და ეს შინაური ექიმი (ტერზახაროვი) ძლიერ კარგად არჩენს შირიმიანებსაო და მართლაც ამ კაცმა საკვირველად მალე მოარჩინა ეს დიდის ხნის ავადმყოფიო".

როძევიჩის წერილი დიდ შრომად იცნეს საზოგადოების წევრებმა. ავტორს ძლიერ გვარიანი შრომა მიუღია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კავკასიაში არას დროს არა ყოფილა და ყველაფერი ცნობანი წიგნებისა და ჟურნალ - გაზეთებიდგან ამოუკრებია. დაწერითაც ძლიერ ადვილად და გასაგებად არის დაწერილი. ამის გამო გადასწყვიტეს როძევიჩის წერილის დაბეჭდვა თავიანთს ყოველ თვიურს ჟურნალში, ხოლო სათაური-კი შეიცვლება. ეხლა აწე- „შირიმი კავკასიაში" და ამის მაგიერ იქნება: „მასალა შირიმის ავადმყოფობის სტატისტიკისა კავკასიაში".

◆◆

# რუსეთი

ყველა სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სხვათა-შორის იმასაც, რაოდენის ფასის სავაჭრო საქონელი გააქვთ საზღვარ გარედ და რაოდენისა შემოაქვთ. აგრეთვე, რაოდენი ოქრო და ვერცხლი გადის და რაოდენი შემოდის. რუსეთს საზღვარ გარედ გაუტანია 1889 წლის განმავლობაში 766 მილიონის მანათის სავაჭრო, ხოლო შემოუტანია 457 მილიონისა. ოქრო და ვერცხლი იმავე ხნის განმავლობაში გასულა სამზღვარ-გარედ 20 მილიონისა, ხოლო შემოსულა 11 მილიონისა.

საინტერესოა ისიც, თუ საით რამდენი სავაჭრო გაუტანიათ და საიდამ რამდენი შემოუტანიათ რუსეთშივე:

| | გაუტ. | შემოუტ. |
|---|---|---|
| ევროპის საზღვარზე . . . . . | 687 მილ. | $373^{1}/_{2}$ მილ. |
| აზიის საზღვრებზე: | | |
| შავის ზღვით . . | $47^{1}/_{4}$ მილ. | $7^{1}/_{2}$ მილ. |
| რუს-ოსმალოს საზღვარზე . . . | 328,791 მ. | 246,820 მ. |
| რუს-სპარსეთისა . | 976,346— | $4^{1}/_{2}$ მილ. მ. |
| კასპის ზღვისა და კავკასიისაზე . | $7^{1}/_{2}$ მილ.— | $3^{1}/_{2}$ მილ. |
| ფოსტით . . . | — | 78,377 მ. |
| ასტრახანის ტამოჟნით . . . . . | $7^{3}/_{4}$ მილ. | $16^{1}/_{10}$ მილ. |
| ირკუტსკის ტამოჟნით . . . . . | $1^{2}/_{10}$ მილ. | $16^{9}/_{10}$ მილ. |
| თურქესტანის საზღვარზე . . . | $2^{1}/_{4}$ მილ. | $1^{1}/_{10}$ მილ. |
| სულ აზიის საზღვარზე . . . | 61,302,775— | 50.036,418 მ. |

(курьеръ) მხოლოდ შეიარაღებულის ჯარის საფარ ქვეშ მიმომავლობდნენ საქართველოში.

ამისათვის მოზდოკიდამ კავკავამდე ააშენა ახალი ციხე-სიმაგრენი (გრიგორიოპოლი, კუმბელისა და პოტემკინისა—თერგზედ, თათართუბას მახლობლად. ამით არ დაკმაყოფილდა პოტემკინი: თვით კავკასიის ქედზედ დააყენა რვა ასი ჯარის კაცი გზის საკეთებლად. ამ გზით, სადაც, პოეტისა არ იყოს.

„...მიმოჰქროდენ მხოლოდ ნისლნი,
და მეფე არწივნი,"

პოტემკინმა რვა ცხენიანი ეტლით დაუბრკოლებლივ გადმოიარა კავკასიის მთები და ტფილისში ჩამოვიდა 1783 წ. ოქტომბერში. ამ გზის კეთებამ გამოიწვია უკმაყოფილობა მთიულებში: ყაბარდოელნი, ჩაჩნები, ლეკები და სხ. მოსვენებას არ აძლევდნენ რუსებს. პოტემკინს არ ეძინა: გენერალის სამოილოვისა და პოლკოვნიკის პიერის წინამძღოლობით რუსის ჯარმა ძირს დაუშვა დაბურული გეხის ტყეები და კარი შეაბა საჩეჩნეთში შესავალს გზებსა 1783 წ. შემოდგომითვე.

1784 წ. თებერვალში სუვოროვი წავიდა რუსეთში და პოტემკინი დანიშნეს კავკასიის გენერალ-გუბერნატორად; ამ დროს მიჰყო ხელი სტავროპოლის მიწდერების დასახლებასაც. 5 მაისს 1785 წ. კავკასიის ნამესტნიკად დანიშნეს პეტერბურგში მყოფი პოტემკინი, რომელმაც ასტარხანიდამ ეკატერინოგრადში (თერგის და მალკას შესართავზე) გადმოიტანა გამგეობა; აქ ქალაქის ალაყაფის კარების თავზე დააწერა „საქართველოში მიმავალი გზა"; ეს წარწერა 1847 წ. ვორონცოვმა შესცვალა. სასახლე მორთო დიდის სიმდიდრით, დაიახლოვა მთიულთა თითო ოროლა მოწინავე კაცი ფულით, ან პურმარილით და ამ ნაირად უხვევდა თვალებს. ამავე დროს გამოჩნდა მთაში შეიხ-მანსური და გამოცხადდა გაზავათი (საღმრთო ომი), მაგრამ ხერხიანმა პოტემკინმა მალე დაამარცხა და ყუბანს გაღმა გააძევა.

1787 წ. დაიწყო მეორე ოსმალოს ომი და პოტემკინი დანიშნეს დუნაიის მხედრობაში; გამგეობა საქმეებისა ჩააბარა გენერალ-ანტშეფს ტეკელლის. პოტემკინი კავკასიაში აღარ დაბრუნებულა, თუმცა ნამესტნიკად ითვლებოდა 1791 წლამდე, როდესაც დანიშნულ იქმნა გენერალ-ანშეფი ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი.

პოტემკინმა თავი ისახელა იზმაილის აღების დროს და მიიღო წმ. გიორგის ორდენი 2 ხარისხისა. შემდეგ გადავიდა პოლშაში და სუვოროვთან ერთად იბრძოდა. აქ მიიღო ხარისხი სრულის გენერალისა და ორის წლის შემდეგ მოსკოვში მობრუნებული (1791 წ.) უეცრად გარდაიცვალა წვეთისაგან. ასეთმა უეცარმა სიკვდილმა გრაფისამ რუსეთში ასტეხა დიდი აყალ-მაყალი, გრაფისათვის არასასიქადულო. შემთხვევით სწორედ იმ დღეს მოკვდა გრაფი, რა დღესაც პეტერბურგში დანიშნულ ფონ-მალცურს გამოძიებაზე მიიღო ცნობა ერთის მისგან ჩაფუჩეჩებულის საქმისა გამო (1787 წ.)[4]. ეს საქმე, რომელმაც ჩირქი მოსცხო ერთს საუკეთესო წარმომადგენელს ეკატერინეს საუკუნისას—იყო შემდეგი: სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად ხანის ერთი ძმათაგანი, დევნილი ძმისაგან (შაჰისაგან) გადმოიხვეწა ყიზლიარისაკენ და მოატანა რუსეთის საფარველს. მაშინდელმა ყიზლიარის კომენდანტმა (ბრიგადირი ვიშნიაკოვი) მიაგება ნავი ჯარის-კაცებით სპარსეთის ბატონიშვილს. მაგრამ რამწამს ჯარის-კაცები ავიდნენ გემზედ, დაუშინეს სპარსელებს და ერთიანად ამოწყვიტეს; თვით ბატონიშვილი-კი ზღვაში გადააგდეს და მისი აუარებელი სიმდიდრე აიფარიაქეს... რად ჩააფუჩეჩა ეს საქმე პოტემკინმა, ამისი მიზეზი საიდუმლოებად დარჩა და გრაფს საფლავში თან ჩაჰყვა.

პოტემკინი ცნობილია რუსულს ლიტერატურაში ბევრის თხზულებით და მათში უფრო „ისტორიით პუგაჩოვის ამბოხებისა" და „აღწერით კავკასიის მთიულთა:" სამწუხაროდ ეს თხზულებანი, სადაც მრავალი საინტერესო ცნობანია მოთავსებული, ჯერ-ჯერობით ისევ დაუბეჭდველია.

პ. ცხვილოელი

[4]) რასაკვირველია, ტეკელლის დასმენით და დაბეზღებით.

სულ ორსავე საზღვარზე ფინლიანდიასთან ვაჭრობითურთ . .766,002,411,—437,016,221ა.

ამ ციფირებიდამ სჩანს, რომ საუფუძველი რუსეთის ძლიერებისა ქონებით დამყარებულია შავისა და ბალტიის ზღვის და მათ შორისის ხმელეთის საზღვარზე. ამ სამის გზით მიდის და მოდის რუსეთიდამ და რუსეთში თითქმის მთელი ვაჭრობა რუსეთისა.

## წვრილი ამბები

პროფესორის გირხოვის მოხსენებამ შესახებ ჭლექის წამლობისა კოხის მეთოდისამებრ დიდი ლაპარაკი გამოიწვია ბერლინის კერძო ხირურგთა საზოგადოების სხდომაზე. ექიმმა კლერმა ამ სხდომაზე დამსწრე ჟურიცხვ ექიმთ წარუდგინა ანგარიში იმისა, თუ რა შედეგი მოჰყვა პროფესორის ბარდელებენის მიერ ნაცადს კოხის საშუალებას ჭლექის წინააღმდეგ. სწამლობდნენ 57 ავადმყოფს (მათ შორის 33 სრულწლოვანი იყო, 24-გი მცირე წლოვანი), ამათგან 8 ავადმყოფი გამოირიცხნენ კლინიკიდამ. სამნი სრულიად განთავისუფლდნენ ავადმყოფობისაგან, მეოთხე, თუმცა სრულიად არ მორჩა, მაგრამ გამოჯობინდა-კი. ხოლო ერთი ავადმყოფთაგანი, სამი წლისა, ძლიერ სუსტი აგებულების ბავშვი, მოკვდა ლიმფის მეშვიდეჯერ ხმარებას შემდეგ. მორჩენილთა შორის კლერმა მოიხსენია ერთი ორმოც-და-ცხრა წლის დედაკაცი, რომელსაც ჰქონდა ნიდაყვის ანთება და ღრმა იარა მაჯაში და მეორე ოცდაოთხი წლის ქალი, რომელიც თეძოს სახსრებს იტკიებდა, სადაც ანთება ჰქონდა გაჩენილი. დანარჩენ ავადმყოფთა შესახებ სთქვა კლერმა, რომ ბევრი მათგანი აგერ თერთმეტი კვირაა, რაც კოხის მეთოდზე სწამლობენო. ყველაზე მეტი კოხის ლიმფისა, სახელდობრ 200 მილიგრამი, მხოლოდ ერთხელ იხმარეს შესაშხაპუნებლად. სამი შემთხვევაც ისეთი იყო, როცა ექიმებმა სრულიად ხელი აიღეს წამლობაზე, რადგანაც ავადმყოფს არავითარი ცვლილება არ დაეტყო. საზოგადოდ 57 ავადმყოფში კოხის ლიმფის შემწეობით ცხრამეტის ავადმყოფობის მიზეზი გაიგეს, ხოლო დანარჩენ ავადმყოფთა სატკივარი წინდაწინვე იცოდნენ და მხოლოდ კოხის ლიმფის სამკურნალო ძალას სცდიდნენ ავადმყოფებზე. ერთის ავადმყოფის შესახებ პროფესორმა ბარდელებენმა განაცხადა, რომ ასე ცოტა ხანში, ამდენი გამოცდილება არასოდეს არ შემიმჩნევიაო.

— მიუნხენში ამას წინად გადაუღიათ იქაური სკოლის შეგირდთა ფოტოგრაფიული სურათები იმ დროს, როცა შეგირდნი წერაში ყოფილან გართულნი. ამ სურათების მიხედვით ექიმებს დაუსკვნიათ, რომ ის შეგირდნი, რომელნიც სწორე ხელით სწერენ, არ კუზიანდებიან, ხოლო ისინი, ვინც დახრილის ხელით სწერენ, კუზიანდებიან. ამის გამოც მინისტრმა მიულერმა გადასწყვეტად იმისა, თუ რა გვარი ხელით წერა უფრო უვნებელია, დაიწყო წერის სწავლა სწორე ხელით.

### გამოცანები:

(შეკრებილი ოზურგ. მაზ. სოფ. ლვაბზუში მ. წ—ძეს მიერ)

„თეთრი ცხვს, წითელი ურკვს,
ოხერი უმახის: „ჩამომიყარეო“. (კბილები, ენა და მუცელი).

—

„უხდი, უხდი, უხდალია,
უხდალს ზევით გუდალია,
გუდალს ზევით ფიქალია,
ფიქალს ზევით მიკრიჭია,
მიკრიჭს ზევით მითშენიტია,
მითშენიტს ზევით მიყვლაპია,
მიყვლიპს ზევით ორი გველი,
ორ გველ ზევით მინდორია,
მინდორს ზევით შავი ტყე,
იმ შავს ტყეში ნადირია“.

(მუხლები, მუცელი, კისერი, კბილები, ცხვირი, თვალები, წარბები, შუბლი, თმა და კბენარი).

—

„დიდი კარ და დიდებული,
დიდი კაცის მიღებული,
ხან გაშლილი, ხან დებული,
ხან სამგზავროდ წაღებული“. (ბამბის გარავი).

—

„მამა დაგრეხილი, დედა დაჭულეტილი,
შვილი გადარეული“ (ვენახი, ყურძენი და ღვინო).

—

„ერთი პატარა შავი ხუცესი მოუსვენრად გალობს“. (შაშვი).

—

ერთი პატარა მანანა ილამაზებს ყელსა, სასიკვდილო სახლს იშენებს უგზ ჟდება ბნელსა. (აბრეშუმის ჭია).

„ორი ოლიეს, (ორი მუმუ თხის). ოთხი კობილეს, (ოთხი მუმუ ძროხის) თორმეტი დასამბილსანს, (თორმეტი ღორის მუმუები)
არც ერთი ჩინჩაბუხსა“ (ქათამს არცერთი).

—

„ზევიდანა მოწიწინობს ურქო, უფურო, უგუდო, გაგბედო როგორ ვეტკო, ან ისე როგორ ვუყურო“ (ბურთი).

—

„თავი საბანში, ფეხი ბაზარში, ვკრეფ და არა მაქვს-რა კალთაში“. (სიზმარი).

—

„ახაია, მახაია, თავს ახურავს გახაია, ვინცა ამას ვერ ახსნის, ხაბრალო და გლახაია“. (რკო).

—

„მამაკაცი ვიყავი, დედაკაცად მაქციეს, შვილი არ მყავდა, შვილი მომცეს“. (უკვერული).

—

„ერთი რამე საწყალი,
მაღლა გაუდის ცანცალი,
ნეტავი შემატყობინა,
რა არის მისი საგძალი? (პეპელა).

—

„აფირფიტი, ლაფირფიტი,
ლებანოს ეფარებოდა,
მისი ნასროლი ფინთიხი
ხელმწიფეს ეგადრებოდა“. (წისქვილი).

—

„ერთს ცხენს ათი ჩიჩვირი აქვს“. (კიბე).

## დეპეშა

17 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა ცნობილი მოგზაური, კაპიტანი გრომბჩევსკი.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ ფრანგულის გამოფენის დროს ოთხი ექსპედიცია მსწავლულ ფრანგთა შეუდგება რუსეთის გამოკვლევას ეკონომიურისა და სამრეწველო მხრითაო.

კალკუტა. 16 იანვარს. მემკვიდრე ცესარევიჩი სამის საათის გამავლობაში ათვალიერებდა ზარაფხანას. შუადღეს შემდეგ დაათვალიერა მუზეუმი, ბრძანდებოდა ვიცე-კოროლის მიერ ბალში გამართულს დღესასწაულზე და საღამოს 9 საათზე საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ბომბეიში.

18 იანვარი

ბერლინი. უფროსი მთავრის შტაბისა, გრაფი ვალდერზე, რომელიც ომის მომხრე ჰგონიათ, გადაჰყავთ კორპუსის კომანდირის თანამდებობაზე.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი $3^1/_2$—$3^0/_0$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | მორიგებ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 84 | 6 87 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 137 | 317½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 07 | 6 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 234¾ |
| —მეორისა | — „ | — „ | 225 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — „ | — „ | 214¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### ვიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რკინი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უვან.

ამას გარდა ფოთში მოდიან ოდესიდაან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა-კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა)
ისყიდება
ამხანაგობის მიერ ახლად გამოცემული
ხალხური

**ზღაპრები**

შეკრებილი ალნიაშვილის-მიერ.
წიგნი I.
ფასი 30 კაპ.

აქვე ისყიდება ქართველთა ამხანაგობისავე გამოცემანი.
თხზულებანი დავითაშვილისა, ფასი 80 კ. მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
ბაჩანას პოემა, დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესა 15 კ.

**ქართული კედლის კალენდარი**

ფასი 40 კაპ.
და სხვა ქართული წიგნები.

ადრესი ქალაქს გარეშე მყოფთათვის: Тифлисъ правленію грузинскаго издательскаго товарищества. (5—1)

სასტუმრო **„ნემეცკი სად“**-ში (გერმანულს ბაღში)
მიხეილის ქუჩაზე

გვაქვს ძალიან სანთო, დიდი და მოხერხებული დარბაზი, სადაც შეიძლება გაიმართოს წარმოდგენები, რისთვისაც სცენაც არის მოწყობილი, ქორწილები და ყოველ გვარი მეჯლისი. ამეებისათვის იქვე ვამზადებთ ყოველსავე საჭირო საჭმელს. სამზარეულოში საუცხოვო ხანოვაგე გვაქვს, ახალად მოტანილი. ფასები ზომიერია. სახლებშიაც შეიძლება სადილისა და ვახშმის გაგზავნა.

(4—1) პატრონი ძნელაძე

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა
სარატოვში.
1891 წლის სეზონი.
გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი,
ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გავგზავნით.
სარპინკას ნიმუშებს დაეუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.
ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.
10—8

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Доз. цен. 18-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.